



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/2018

ქ. თბილისი

25 ივლისი 2018

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტ სოფიო შინჯიკაშვილისათვის სამაგისტრო ნაშრომის სკაიპის მეშვეობით დაცვის უფლების მიცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტ სოფიო შინჯიკაშვილის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტ სოფიო შინჯიკაშვილს მიეცეს უფლება სკაიპის მეშვეობით დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე